

## საქართველოს საგარეო ვაჭრობა

### 2008 წელი

#### ზოგადი მიმოხილვა

2004-2007 წლებში საგარეო ვაჭრობის საშუალო ზრდის ტემპი 41.8%-ს შეადგენდა.

2008 წლის პირველ ნახევარში სავაჭრო ბრუნვის მოცულობის ეს მაჩვენებელი 35.8%-ით განისაზღვრა, ხოლო მეორე ნახევარში მკვეთრად დაეცა და -2.4% შეადგინა (წლიური ზრდის ტემპი 21%).

2008 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურა განისაზღვრა შემდეგნაირად:

#### მთლიანი სავაჭრო ბრუნვა – 7 801 მლნ. აშშ დოლარი (21% ზრდა)

- ექსპორტი – 1 497.7 მლნ. აშშ დოლარი (21.5% ზრდა)
- იმპორტი – 6 305 მლნ. აშშ დოლარი (21% ზრდა)

საქონლებრუნვის ზრდის ტემპის ვარდნა ძირითადად დაკავშირებულია საქართველოში აგვისტოს თვეში განვითარებულ მოვლენებთან და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ კრიზისთან.

მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით ექსპორტის მოცულობა (აბსოლუტურ მაჩვენებლებში) გაიზარდა, მისმა ხვედრითმა წილმა ჯამურ სავაჭრო ბალანსში იკლო. ტენდენცია შემდეგია:

- 2002 წელი – 31%
- 2003 – 30%
- 2004 – 26%
- 2005 – 25.8%
- 2006 – 21.2%
- 2007 – 19.1%
- 2008 – 19.1%

ბუნებრივია, რომ ამ ფონზე მატულობს იმპორტის ხვედრითი წილი და შესაბამისად, იზრდება უარყოფითი სავაჭრო სალდო.

#### 2008 წლის საგარეო ვაჭრობის მონაცემებით რეგიონალურ ჭრილში:

*ევროკავშირის ქვეყნებს ბრუნვის მიხედვით მესამე ადგილი უკავია*

- სავაჭრო ბრუნვა 2091,5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა წინა წელთან შედარებით 15.7%)

- ექსპორტი 335,5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა წინა წელთან შედარებით 24.5%)
- იმპორტი 1756 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა წინა წელთან შედარებით 14.1%)

*ღსთ-ის ქვეყნებს ბრუნვის მიხედვით მეორე ადგილი უკავია*

- ბრუნვა 2543 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა წინა წელთან შედარებით 9.9%)
- ექსპორტი 542 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა წინა წელთან შედარებით 17.3%)
- იმპორტი 2001 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა წინა წელთან შედარებით 8%)

2008 წელს საქართველოს სავაჭრო პარტნიორების რიცხვი 128 ქვეყნით განისაზღვრა. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს 107 პარტნიორ ქვეყანასთან,

2008 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილი საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67,4 პროცენტს შეადგენს, რომელიც შემდგენაირად განაწილდა:


- თურქეთი – 15.9%
- აზერბაიჯანი – 10.8%
- უკრაინა – 10.5%
- გერმანია – 6.2%
- რუსეთი – 6.0%
- აშშ – 4.5%
- ჩინეთი – 4.1%
- არაბთა ე.წ. ქვეყნები – 3.8%
- ბულგარეთი – 3.1%
- იტალია – 2.6%

## ექსპორტი


სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულს საქართველოს ექსპორტის 80.5% უკავია.

ექსპორტის კუთხით სამ უმსხვილეს პარტნიორზე (თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა) 2008 წელს მოდიოდა საერთო საექსპორტო მოცულობის 40.3%.

აღნიშნული ზოგადად საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციის დაბალ მაჩვენებელსა და კონკრეტულ ბაზრებსა თუ პირობებზე დამოკიდებულების მაღალ ხარისხზე მიუთითებს.



სასაქონლო ჯგუფების მიხედვით 2008 წელს საქართველოს საექსპორტო მანქანებლების პირველ 3 პოზიციაზე მოდიოდა მთლიანი მოცულობის 34.1%.



პროდუქციის ჩამონათვალის პირველი ათეულის შემდეგ, აგრეთვე დიდი რაოდენობით არის ექსპორტირებული საქართველოდან შემდეგი დასახელების საქონელი: მინერალური წყლები (30.5 მლნ. აშშ დოლარი), სამკურნალო საშუალებები (22.1 მლნ. აშშ დოლარი), ხილის წვენები (7.7 მლნ. აშშ დოლარი), უაღკოპოლო სასმელები (7.5 მლნ. აშშ დოლარი), იზოტოპები (6.7 მლნ. აშშ დოლარი) და სხვა.

ამასთანავე, სეზონურად, საქართველოში ჭარბი ელექტროენერჯის წარმოებიდან ბოლო წლებში მიმდინარეობს მისი ექსპორტი. 2008 წელს ეს მაჩვენებელი 16.1 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

2005 წლიდან კლების მკვეთრი ტენდენციით ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში, თუმცა აღსანიშნავია, რომ ასევე დაბალია ამ პროდუქციის წილი მთლიან იმპორტში.

### სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი

წლები	მთლიან ექსპორტში	მთლიან იმპორტში
2005	35 %	16.6 %
2006	23.6 %	15.4 %
2007	24.1 %	14.9 %
2008	16.7 %	14.2 %

### საშუალო ფასის ცვალებადობა


- მინერალური წყლის საშუალო ფასი ოქტომბერში აგვისტოსთან შედარებით გაიზარდა (1 ლიტრი იყო 0.65\$, გახდა 0.69\$);
- ყურძნის ნატურალური ღვინოები – შემცირდა (1 ლიტრი 3.70\$ - 3.36\$);

- ალკოჰოლური სასმელები – მნიშვნელოვნად გაიზარდა (1 ლიტრი 4,25\$ - 5.63\$);
- ცემენტი – შემცირდა (1 ტონა 121.0\$ –113,4\$);
- მანები და კონცენტრატები – შემცირდა (1 ტონა 1129.7\$ – 1033\$);
- სამკურნალო საშუალებები – გაიზარდა (10 553,8\$ – 84 031,3\$. ეს სხვაობა დამოკიდებულია ასევე ასორტიმენტზე);
- მინერალური სასუქები – გაიზარდა (344,4\$ – 391,7\$);
- ოქრო დამუშავებული ან ნახევრადდამუშავებელი, ან ფხვნილის სახით – გაიზარდა (1 გრ. 10.6\$ – 12.6\$);
- ფეროშენადნობები – მნიშვნელოვნად შემცირდა (1 ტონა 2421,4\$ - 1699,4\$);
- შავი ლითონები – გაიზარდა (1 ტონა 390,1\$ – 406,8\$);
- ნარჩენები და ჯართი სპილენძისა – შემცირდა (1 ტონა 5439,9\$ – 5184,5\$);
- თხილი – მნიშვნელოვნად შემცირდა (1 ტონა 4.361,4\$ –2.893,1\$).


## იმპორტი

2008 წელს იმპორტის კუთხით საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენდნენ თურქეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი. ამ სამ ქვეყანას საქართველოს მთლიანი იმპორტის 36,6% უკავია.

აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან იმპორტირებულია 376 მლნ აშშ დოლარის ნავთობპროდუქტები, საქართველოში იმპორტირებული ნავთობპროდუქტების 53.2%.



იმპორტირებულ პროდუქციაში, 2007 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რაოდენობა, თითქმის – 207 მლნ. აშშ დოლარით. აგრეთვე მოიმატა მსუბუქი ავტომანქანების იმპორტმა 94 მლნ. აშშ დოლარით, სამკურნალო საშუალებების – 46 მლნ აშშ დოლარით.



აგრეთვე დიდი რაოდენობით არის ქვეყანაში იმპორტირებული შემდეგი დასახელების პროდუქცია: ფქვილი, ტურბორეაქტიული და ტურბოსრახნიანი ძრავები, ორთქლის ტურბინები, ხორცი და ხორცპროდუქტები, რძის პროდუქცია, ხილი, მცენარეული და ცხოველური ცხიმები, საკონსერვო პროდუქცია და სხვ.